



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
მარიამ ზაალიშვილი
მ. ზაალიშვილი

25 აპრილი 2023 წელი
№ 19/36

ევზ. №1

ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული
ფედერაციის 2019-2021 წლების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	7
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
	2. აუდიტის მიგნებები	10

ტერმინები და შემოკლებები

ფედერაცია – ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია.

ფედერაციის წესდება – ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის წესდება.

სამინისტრო – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

შრომის კოდექსი – საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.

დაფინანსების წესი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 10 მაისის N03/172 და 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანებები „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“, 2021 წლის 14 აპრილის ბრძანება N00002097 „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“.

პრეზიდენტი – ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის 2019-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

შესყიდვები

ფედერაციის მიერ სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა რიგ შემთხვევებში ხორციელდებოდა ბაზრის კვლევის და, შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/შეფასების გარეშე, კერძოდ:

- სპორტსმენთა შეკრებებზე სასტუმრო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმები, არ არის შეთანხმებული და განსაზღვრული სპორტსმენთა კვებისათვის საჭირო რაციონი და მისი ღირებულება. დაუსაბუთებელია სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები;
- სატრანსპორტო მომსახურების 45% შესყიდულია ერთი მიმწოდებლისგან, ბაზრის კვლევის გარეშე. მომსახურების დამადასტურებელ დოკუმენტებში ხშირად მითითებული არ არის სატრანსპორტო საშუალებებისა და გადასაზიდი საქონლის დასახელება. შესაბამისად, გაურკვეველია რა სახის პარამეტრებსა და ტარიფებზე დაყრდნობით ხორციელდებოდა სატრანსპორტო მომსახურების თანხების დადგენა. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების დროს მონაწილე სპორტსმენთა გადაყვანაზე ერთსა და იმავე პერიოდში მგზავრთა რაოდენობის, მანძილისა და მარშრუტის უცვლელობის პირობებში, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდება.

ბაზრის კვლევისა და შესაბამისი ალტერნატიული წინადადებების განხილვის/ანალიზის გარეშე შესყიდულია 49,074 ლარის მედიკამენტები და საკვები დანამატები. მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საჭიროების განსაზღვრისა და ხარჯვის პროცესში არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, რაც წარმოშობს სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს, კერძოდ:

- შესასყიდი მედიკამენტებისა და დანამატების მოცულობის და ნომენკლატურული სტრუქტურის განსაზღვრას საფუძვლად არ უდევს შესაბამისი პროფილის სპეციალისტის დასკვნა;
- საკვები დანამატებისა და მედიკამენტების ხარჯვის/გამოყენების ნორმები დადგენილი არ არის ხელბურთელთა ფიზიკური მონაცემების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე.
- მედიკამენტებისა და საკვები დანამატების გაცემა არ ხორციელდება ექიმის დანიშნულების საფუძველზე. ხელბურთელებზე მედიკამენტებისა და დანამატების გაცემის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება; მიღებული მედიკამენტების და საკვები დანამატების ჩამოწერა ხორციელდება ღონისძიების დასრულების შემდეგ, არა ფაქტობრივი ხარჯვიდან გამომდინარე, არამედ მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ზედდებულის შესაბამისად შედგენილი ჩამოწერის აქტის საფუძველზე სრულად, ფაქტობრივი ნაშთის დაფიქსირების გარეშე.

საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურება

ევროპის ხელბურთის ფედერაციასა და საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ტურნირებზე მონაწილე გუნდების სასტუმრო მომსახურების, კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები უნდა დაფინანსებულიყო მონაწილე ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან. 2021 წელს საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურება 49,450 ლარის ოდენობით დაფინანსებულია არა მონაწილე ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან, არამედ კრიტერიუმის შეუსაბამოდ, საბიუჯეტო სახსრებით.

დაუდასტურებელი ხარჯები

- J ფედერაციის საბანკო ანგარიშიდან სატრანსპორტო მომსახურების ანაზღაურების მიზნით გადარიცხულ 53,230 ლარის ტრანზაქციებზე არ არსებობს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- J რიგ შემთხვევებში, სამივლინებო თანხები არ იხარჯება სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის შესაბამისად. 2019-2020 წლებში სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების მიზნით გაცემულ 13,380 ლარზე არ არსებობს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- J 2019-2021 წლებში ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე გახსნილი ბიზნესბარათის გამოყენებით, ფედერაციის საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ანგარიშსწორებით გამოტანილი 451,256 ლარი გახარჯულია სალაროს ოპერაციების გვერდის ავლით, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

- J ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ფედერაციის საქმიანობაზე წესდებით გათვალისწინებული კონტროლი სათანადოდ არ ხორციელდება, კერძოდ: პრეზიდენტის მიერ ფედერაციის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და შესაბამისად ყრილობის მიერ დამტკიცება არ განხორციელებულა. საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში ფედერაციის თანამდებობის პირთა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულები არ განსაზღვრულა და სახელფასო ფონდი 2019 წელს არ დამტკიცებულა; ყოველი წლის ბოლოს ფედერაციის ფინანსური მდგომარეობის განხილვა, მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება, დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევა და ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება 2019-2020 წლებში არ განხორციელებულა;
- J შრომითი ურთიერთობები არ ეფუძნება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს: დასაქმებულთა სამუშაო დროის განსაზღვრის მიზნით, ფედერაციის შინაგანაწესი ან სხვა სახის დამატებითი წერილობითი დოკუმენტი არ არის მიღებული. არ არსებობს სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემა, რაც სუსტი შიდა კონტროლის პირობებში იწვევს

საჯარო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან განკარგვას და ზრდის ფიქტიური შრომითი საქმიანობის ანაზღაურების რისკებს;

- J არ წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება. არ არის აღრიცხული ფედერაციაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო მატერიალური ფასეულობები. აუდიტის პერიოდში ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა აღწერით გამოვლინდა 73 სხვადასხვა დასახელების, 98 ერთეული ბუღალტრულად აღურიცხავი მატერიალური ფასეულობა. არ ჩატარებულა აქტივებისა და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია;
- J არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქონების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაციები

ფედერაციას:

რეკომენდაცია N1

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე უზრუნველყოფს საბაზრო პირობების შესაბამისი საკონტრაქტო ფასების ჩამოყალიბებას. შესაბამისი ექსპერტული დასკვნების საფუძველზე განისაზღვროს მედიკამენტების და საკვები დანამატების ნორმები და რელევანტური კონტროლის მექანიზმების დანერგვით მიღწეულ იქნეს მათი მიზნობრივი ხარჯვა.

რეკომენდაცია N2

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოში საერთაშორისო ტურნირების ორგანიზების დროს სარგებლის სახით მიღებული შემოსავლების სისრულეს და ხარჯების გაწევის მიზნობრიობას.

რეკომენდაცია N 3

დაინერგოს სააღრიცხვო სისტემა და კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებული საფუძვლების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და დამტკიცებას;

დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დრო, დაინერგოს ნამუშევარი დროის აღრიცხვის მექანიზმები;

კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს მატერიალურ ფასეულობათა და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვაზე, არსებობასა და ეფექტიან გამოყენებაზე კონტროლს;

განხორციელდეს მატერიალურ ფასეულობათა აღწერით გამოვლენილი მატერიალურ ფასეულობათა შეფასება და ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვა.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	ფედერაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.
აუდიტორის პასუხისმგებლობა	აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ 2019-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტის ანგარიში არ არის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტია. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ, მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.
აუდიტის საგანი	აუდიტის საგნად განისაზღვრა ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.
აუდიტის მასშტაბი	აუდიტმა მოიცვა ფედერაციის მიერ 2019-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;
-)/ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 10 მაისის N03/172 ბრძანება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2021 წლის 14 აპრილის ბრძანება N00002097 „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის N10 დადგენილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“;
-)/ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 26 ივნისის N5-9 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფედერაციას შორის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები;
-)/ ევროპის ხელბურთის ფედერაციასა და ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის 2021 წლის 19 მაისს და 2021 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებები საქართველოში 2021 წლის 14-დან 19 ივნისამდე მამაკაცთა ტროფისა და ქალთა მე-17 ჩემპიონატის ჩატარებაზე;
-)/ ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის წესდება.

აუდიტის მიზანი


ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

	ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ
აუდიტის მეთოდოლოგია	აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:)/ ინფორმაციის ანალიზი;)/ მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;)/ აღნიშნულ სფეროში არსებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა;)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, მოქმედი კანონმდებლობის, საკუთარი და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წესდების შესაბამისად. მისი საქმიანობის ძირითადი მიზნებია: საქართველოში ხელბურთის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია; მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების სისტემის სრულყოფა; საქართველოს ნაკრები გუნდების გამოსვლის უზრუნველყოფა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში; ყველა დონის ადგილობრივი და საერთაშორისო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება; წესდების თანახმად, ფედერაციის მმართველობის უმაღლესი ორგანოა ფედერაციის ყრილობა, ყრილობებს შორის ფედერაციის საქმიანობას წარმოადგენს და ხელმძღვანელობს ფედერაციის პრეზიდიუმი. ფედერაციის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს ყრილობის მიერ არჩეული ფედერაციის პრეზიდენტი. 2019-2021 წლებში ფედერაციის შემოსავლებმა შეადგინა 8,054,958 ლარი,¹ მათ შორის, საბიუჯეტო დაფინანსება – 5,236,375 ლარი, საკუთარი შემოსავლები – 2,818,583 ლარი.²

¹ 2019 წელს - 2,899,052,0 ლარი, 2020 წელს - 1,784,397,0 ლარი და 2021 წელს - 3,371,509 ლარი.


² მათ შორის საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებზე ევროპის ფედერაციიდან ჩამორიცხული თანხა - 2,767,674,0 ლარი.

დიაგრამა N1. ინფორმაცია 2019-2021 წლებში მიღებული დაფინანსების შესახებ



ამავე პერიოდში ფედერაციის ხარჯებმა შეადგინა 7,488,413 ლარი. აქედან, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა – 3,125,425 ლარი, წინასაშეჯიბრო შეკრებები – 680,851 ლარი, ადგილობრივი ტურნირები – 924,383 ლარი და ფედერაციის მართვასთან დაკავშირებული ხარჯები – 2,757,753 ლარი.

დიაგრამა N2. ინფორმაცია 2019-2021 წლებში გაწეული ხარჯების შესახებ



2. აუდიტის მიგნებები

2.1 შესყიდვები

კრიტერიუმი: ფედერაცია სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს. ამ პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში განხორციელებული, ასევე სხვადასხვა მომსახურებისა და მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვის თაობაზე არსებული გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით.³

2.1.1 სასტუმრო მომსახურების შესყიდვა

ფაქტობრივი გარემოება: სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური და ფუნქციონალური ღონის ამაღლების მიზნით, 2019-2021 წლებში ფედერაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ნაკრების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დაფინანსებამ შეადგინა 680,851 ლარი. შეკრებების ორგანიზების ხარჯების დიდი ნაწილი (292.725 ლარი) მოდის სასტუმრო მომსახურებაზე, რომლის შესყიდვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და ამ პროცესის კონტროლის მექანიზმები გამოირჩევა შემდეგი სახის ნაკლოვანებებით:

- 1) რიგ შემთხვევებში მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა განხორციელებულია ბაზრის კვლევისა და, შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/ანალიზის გარეშე. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები⁴;
- 2) ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმი, არ არის შეთანხმებული და განსაზღვრული სპორტსმენთა კვებისათვის საჭირო რაციონი⁵ და მისი ღირებულება;
- 3) არ არსებობს შეკრებების ჩატარების პერიოდულობის, ხანგრძლივობის, მათში მონაწილეთა შემადგენლობის და რაოდენობის დადგენის წესი;
- 4) შეკრებებში მონაწილე სპორტსმენების მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მომსახურების მიღება დადასტურებული არ არის შეკრებების მომზადებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი გუნდის მწვრთნელების მიერ; არ ხორციელდება შეკრებებში მონაწილე პირთა რეგისტრაცია/აღრიცხვა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება გაწეული მომსახურების რეალური მოცულობა.

2.1.2 სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა

2019-2021 წლებში სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 174, 834 ლარი.⁶ მომსახურების შესყიდვა განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე.

³ „ანგარიშსწორებისა და დაფინანსების წესის შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180, 2018 წლის 10 მაისის N03/172 და 2019 წლის 23 იანვრის N69 ბრძანებები.

⁴ დღეში - ერთი სპორტსმენის სასტუმრო მომსახურება სამჯერადი კვებით.

⁵ ერთი კაცის კვების რაციონი ერთი დღის განმავლობაში.

⁶ 2019 წელს - 67,720 ლარი, 2020 წელს - 18,291 ლარი და 2021 წელს - 88,823 ლარი.

მომსახურების 45% ბაზრის კვლევის გარეშე შესყიდული ერთი მიმწოდებლისგან.⁷ ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების დროს მონაწილე სპორტსმენთა გადაყვანაზე ერთსა და იმავე პერიოდში მგზავრთა რაოდენობის, მანძილისა და მარშრუტის უცვლელობის პირობებში, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდება. აღნიშნულ სხვაობებზე ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო დასაბუთება. კერძოდ, 2019 წელს ქ. თბილისში ჩატარებულ მსოფლიოს ერთა ჩემპიონატზე ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრთა ტრანსპორტირების ხარჯმა⁸ 2019 წლის ივნისში შეადგინა დღეში 400 ლარი.⁹ ამავე წლის აგვისტოში 17 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატზე დღიურმა ხარჯმა შეადგინა 250 ლარი.¹⁰

ერთი და იმავე მიმწოდებლის მიერ¹¹ გაწეული სატრანსპორტო მომსახურება ანაზღაურებულია, მარშრუტის მანძილიდან გამომდინარე, ურთიერთშეუსაბამო ტარიფებით. კერძოდ, 2020 წლის აგვისტოში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისი - ურეკი - თბილისის მარშრუტზე (632 კმ) ორდღიანი სატრანსპორტო მომსახურების¹² ტარიფი შეადგენდა ერთ პერსონაზე 44 ლარს, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისი - ბორჯომი - თბილისის მარშრუტზე (314 კმ) ერთდღიანი მომსახურების ტარიფმა ერთ პერსონაზე 36 ლარი¹³ შეადგინა.

2.1.3 მედიკამენტებისა და საკვები დანამატების შესყიდვა

შესამოწმებელ პერიოდში ბაზრის კვლევისა და შესაბამისი ალტერნატიული წინადადებების განხილვის/ანალიზის გარეშე¹⁴ შესყიდულია 49,074 ლარის მედიკამენტები და საკვები დანამატები.¹⁵ მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საჭიროების განსაზღვრისა და ხარჯვის პროცესში არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, რაც წარმოშობს სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს, კერძოდ:

-)/ შესასყიდი მედიკამენტებისა და დანამატების მოცულობის და ნომენკლატურული სტრუქტურის განსაზღვრას საფუძვლად არ უდევს შესაბამისი პროფილის სპეციალისტის დასკვნა;
-)/ საკვები დანამატებისა და მედიკამენტების ხარჯვის/გამოყენების ნორმები დადგენილი არ არის ხელბურთელთა ფიზიკური მონაცემების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე.
-)/ მედიკამენტებისა და საკვები დანამატების გაცემა არ ხორციელდება ექიმის დანიშნულების მიხედვით. ხელბურთელებზე მედიკამენტებისა და დანამატების გაცემის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება;
-)/ მიღებული მედიკამენტების და საკვები დანამატების ჩამოწერა ხორციელდება ღონისძიების დასრულების შემდეგ, არა ფაქტობრივი ხარჯვიდან გამომდინარე, არამედ მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ზედდებულის შესაბამისად შედგენილი ჩამოწერის აქტის საფუძველზე სრულად, ფაქტობრივი ნაშთის დაფიქსირების გარეშე.

⁷ ი/მ გია ბადალაშვილი.

⁸ სასტუმროდან დარბაზამდე და პირიქით.

⁹ სულ: 15 დღეში - 6000 ლარი.

¹⁰ სულ: 15 დღეში - 3750 ლარი.

¹¹ ი/მ იოსებ მოსაშვილი.

¹² ერთი ავტობუსით 28 კაცზე.

¹³ ერთი ავტობუსით 25 კაცზე.

¹⁴ ორი კომპანიისგან.

¹⁵ 2019 წელს - 9,080 ლარის, 2020 წელს - 4,922 ლარის და 2021 წელს - 35072 ლარის ღირებულების.

დასკვნა

ბაზრის კვლევისა და, შესაბამისად, ალტერნატიული წინადადებების განხილვის/შეფასების გარეშე მიმწოდებლების შერჩევა ზრდის საბაზრო პირობებთან შეუსაბამო ფასისა და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც თავის მხრივ, იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას შესყიდვის პროცესში. საკვები დანამატების და მედიკამენტების საჭიროების განსაზღვრისა და გაცემისას კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, მაღალია მათი არამიზნობრივი გამოყენების რისკები.

**რეკომენდაცია N1
ფედერაციას:**

საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას ეკონომიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე უზრუნველყოფს საბაზრო პირობების შესაბამისი საკონტრაქტო ფასების ჩამოყალიბებას. შესაბამისი ექსპერტული დასკვნების საფუძველზე, განისაზღვროს მედიკამენტების და საკვები დანამატების ნორმები და რელევანტური კონტროლის მექანიზმების დანერგვით, მიღწეულ იქნეს მათი მიზნობრივი ხარჯვა.

**2.2 საქართველოში
ჩატარებული საერთაშორისო
ტურნირების მონაწილეთა
სატრანსპორტო მომსახურება**

კრიტერიუმი: 2021 წელს საქართველოში მამაკაცთა ტროფისა და ქალთა მე-17 ჩემპიონატის ჩატარებაზე ევროპის ხელბურთის ფედერაციასა და ა(ა)იპ – საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის 2021 წლის 19 მაისს და 2021 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად,¹⁶ ღონისძიებაში მონაწილე ეროვნული ფედერაციების დღიური გადასახდელი ერთ ადამიანზე შეადგენდა 100 ევროს.¹⁷ აღნიშნულ ტარიფში გათვალისწინებული იყო დელეგაციების განსახლების, ტრენინგის, კვებისა და ადგილობრივი ტრანსპორტირების ხარჯები.

ფაქტობრივი გარემოება: საქართველოში გამართულ 17-წლამდე ხელბურთელ გოგონათა 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის¹⁸ ორგანიზების ხარჯებმა შეადგინა 749,945 ლარი, საიდანაც 492,269 ლარის ხარჯი გაწეულია სამინისტროდან მიღებული საბიუჯეტო დაფინანსებით.¹⁹ აქედან ჩემპიონატში მონაწილე უცხოური გუნდების²⁰ სატრანსპორტო მომსახურების მიზნით გახარჯულია 35,760 ლარი.

კაცთა გუნდებს შორის 2021 წლის საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციების ტროფის²¹ ორგანიზებისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 322,388 ლარი. აქედან, სამინისტროდან მიღებული საბიუჯეტო დაფინანსებით ანაზღაურებულია 235,219 ლარი.²² ჩემპიონატში მონაწილე უცხოური გუნდების²³ სატრანსპორტო მომსახურების მიზნით გახარჯულია 13,690 ლარი. სულ ორივე შემთხვევაში სატრანსპორტო მომსახურების სახით საბიუჯეტო

¹⁶ ხელშეკრულებების 2.2 პუნქტი.

¹⁷ თანხების ჩარიცხვა ხორციელდებოდა ევროპის ხელბურთის ფედერაციის ანგარიშზე.

¹⁸ მონაწილეობდა 9 ევროპული გუნდი.

¹⁹ 257,677 ლარი კი – ევროპის ფედერაციიდან და თბილისის მერიიდან ჩამორიცხული თანხებიდან.

²⁰ 9 გუნდი.

²¹ მონაწილეობდა 6 ევროპული გუნდი.

²² 87,169 ლარი გადახდილია ევროპის ფედერაციიდან ჩამორიცხული თანხებიდან.

²³ 9 გუნდი.

სახსრებით ანაზღაურებულია 49,450 ლარი. ევროპის ხელბურთის ფედერაციასა და საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად კი, აღნიშნულ ტურნირებზე მონაწილე გუნდების სასტუმრო მომსახურების, კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები უნდა დაფინანსებულიყო მონაწილე ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან.

დასკვნა

2021 წელს საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურება 49,450 ლარის ოდენობით დაფინანსებულია არა მონაწილე ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან, არამედ კრიტერიუმის შეუსაბამოდ, საბიუჯეტო სახსრებით.

რეკომენდაცია N 2 ფედერაციას:

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოში საერთაშორისო ტურნირების ორგანიზების დროს სარგებლის სახით მიღებული შემოსავლებიდან ხარჯების გაწევის მიზნობრიობას.

2.3 დაუდასტურებული ხარჯები

კრიტერიუმი: „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ შესაბამისად,²⁴ მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. ანგარიშვალდებული პირის მიერ შესყიდვების განხორციელება დადასტურებული უნდა იყოს პირველადი დოკუმენტებით.

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2021 წლებში ფედერაციის ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემულ თანხებზე რიგ შემთხვევებში წარმოდგენილი არ არის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ:

- 1) 2019 წელს ფედერაციის საბანკო ანგარიშიდან სატრანსპორტო მომსახურების ანაზღაურების მიზნით ი/მ გია ბადალაშვილზე გადარიცხულ 42,230 ლარზე და ი/მ მამუკა ლომიძეზე გადარიცხულ 11,000 ლარზე, სულ ორივე შემთხვევაში, 53,230 ლარის ტრანზაქციებზე არ არსებობს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, ინვოისები, ზედნადებები და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტები);²⁵
- 2) 2019-2021 წლებში მივლინებების სახით სულ გახარჯულია 86,040 ლარი.²⁶ რიგ შემთხვევებში მივლინების მიზნით გაცემული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის. კერძოდ, 2019-2020 წლებში ფედერაციაში მივლინების სახით გაცემულ 13,380 ლარზე არ არსებობს ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები;

2019-2021 წლებში ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე გახსნილი ბიზნესბარათის გამოყენებით, ფედერაციის საბანკო ანგარიშებიდან

²⁴ „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-18 პუნქტი.

²⁵ ი/მ გია ბადალაშვილი: 01.07.2019 - 15, 000 ლ., 12.07.2019 - 17, 230 ლ., 22.08.2019 - 10 000 ლ.; ი/მ მამუკა ლომიძე: 17.09.2019 - 5,000 ლ., 08.10.2019 - 3,000 ლ., 08.10.2019 - 3,000 ლ.

²⁶ 2019 წელს - 45,694 ლარი, 2020 წელს - 18,657 ლარი და 2021 წელს - 21,634 ლარი.

ქ. თბილისში არსებული სხვადასხვა ბანკომატის მეშვეობით გამოტანილია სულ – 451,256 ლარი.²⁷ აღნიშნული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ფედერაციაში არ არსებობს. სალაროს ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით ანგარიშვალდებული პირის მიერ²⁸ გატანილ თანხებზე ნაწარმოები არ არის. აღნიშნული თანხებიდან 2021 წელს ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მიერ საბანკო ანგარიშზე დაბრუნებულია 40,000 ლარი.

დასკვნა

რიგ შემთხვევებში სამივლინებო თანხების ხარჯვა არ წარმოებს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის შესაბამისად. მივლინების თანხები გაცემულია მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ანგარიშსწორებით გატანილ თანხებსა და სატრანსპორტო მომსახურების სახით გაწეულ ტრანზაქციებზე არ არსებობს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2.4 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

2.4.1 ადმინისტრაციული და საფინანსო კონტროლის ნაკლოვანებები

ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ფედერაციის საქმიანობაზე წესდებით გათვალისწინებული კონტროლი სათანადოდ არ ხორციელდება, კერძოდ:

-) ყოველწლიური ანგარიში ფედერაციის ქონების მდგომარეობის შესახებ 2019-2021 წლებში არ არის შედგენილი;
-) 2019-2020 წლებში პრეზიდენტის სხდომების ჩატარების შესახებ შესაბამისი ოქმები ვერ იქნა წარმოდგენილი;
-) ფედერაციის ბიუჯეტის პროექტი პრეზიდენტის მიერ მომზადებული და ყრილობის მიერ არ არის დამტკიცებული;
-) საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში ფედერაციის თანამდებობის პირთა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულები და სახელფასო ფონდი 2019 წელს დამტკიცებული არ არის;
-) ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე ანგარიშები არ შედგენილა და ყრილობაზე დასამტკიცებლად არ წარდგენილა;
-) ყოველი წლის ბოლოს ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა არ განხილულა და მომავალი წლის ბიუჯეტი არ დამტკიცებულა;
-) წესდების შესაბამისად, ფედერაციის საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი ფედერაციის ხაზინადარის წარდგენა და ყრილობის მიერ არჩევა 2019-2020 წლებში არ განხორციელებულა;
-) 2019-2020 წლებში დამოუკიდებელი აუდიტორი არ მოწვეულა და ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება არ ჩატარებულა.

²⁷ 2019 წელს - 233.886 ლარი, 2020 წელს - 196,997 ლარი და 2021 წელს - 20,413 ლარი.

²⁸ ფედერაციის პრეზიდენტი.

2.4.2 შრომის ანაზღაურება

ადამიანური რესურსის მართვისა და შრომის ანაზღაურების კუთხით გამოვლინდა შემდეგი სახის შეუსაბამოებები, კერძოდ:

-) საშტატო განრიგით გათვალისწინებული ადმინისტრაციისა და მომსახურე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულთა სამუშაო დროის განსაზღვრის მიზნით, ფედერაციის შინაგანაწესი პრეზიდენტის მიერ არ არის დამტკიცებული;
-) შრომის დროითი სისტემით ანაზღაურების შემთხვევებში, ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის მექანიზმები არ არის დანერგილი.

2.4.3 აღრიცხვა-ანგარიშგების ნაკლოვანებები

ფედერაციაში არ წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება. შესაბამისად, არ არის აღრიცხული ფედერაციაში არსებული ძირითადი საშუალებები, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, აგრეთვე დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები. არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფედერაციას კრედიტორული დავალიანების სახით ხუთი ორგანიზაციის მიმართ გააჩნია ბუღალტრულად აღურიცხველი 292,169 ლარის დავალიანება. აუდიტის პერიოდში ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა აღწერით²⁹ გამოვლინდა 73 სხვადასხვა დასახელების, 98 ერთეული ბუღალტრულად აღურიცხველი მატერიალური ფასეულობა, მათ შორის, ძირითადი აქტივები.

დასკვნა

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განუხორციელებლობა, სუსტი შიდა კონტროლის გარეშე და ცალკეულ პროცესში კონტროლის მექანიზმების არარსებობა ზრდის ფულადი სახსრების და მატერიალური ქონების არამიზნობრივი და არაეფექტიანი გამოყენების რისკებს.

შრომითი ურთიერთობები არ ეფუძნება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს: დასაქმებულთა სამუშაო დროის განსაზღვრის მიზნით, ფედერაციის შინაგანაწესი ან სხვა სახის დამატებითი წერილობითი დოკუმენტი არ არის მიღებული. არ არსებობს სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემა, რაც სუსტი შიდა კონტროლის პირობებში იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან განკარგვას და ზრდის ფიქტიური შრომითი საქმიანობის ანაზღაურების რისკებს.

რეკომენდაცია N3
ფედერაციას:

დაინერგოს სააღრიცხვო სისტემა და კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებული საფუძვლების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და დამტკიცებას;

დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დრო, დაინერგოს ნამუშევარი დროის აღრიცხვის მექანიზმები;

კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს მატერიალურ ფასეულობათა და მოთხოვნა-ვალდებულებების

²⁹ ფედერაციის 2021 წლის 12 დეკემბრის N6 ბრძანების საფუძველზე.

ინვენტარიზაცია, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვაზე, არსებობასა და ეფექტიან
გამოყენებაზე კონტროლს;
შეფასდეს მატერიალურ ფასეულობათა აღწერით გამოვლენილი მატერიალური
ფასეულობები და აისახოს ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

აუდიტორები


მურმან დარახველიძე
მთავარი აუდიტორი

ელგუჯა ბეროშვილი
წამყვანი აუდიტორი

მაკა წოწონავა
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

კახა კუპრავა
აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა



ვებგვერდი და სოციალური
მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE